გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

განკარგულება № 35

2025 წლის 14 მარტი

ქალაქი გორი

„გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისი N82 განკარგულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოში შემოსულია გორის მუნიციპალიტეტის მერის მოვალეობის შემსრულებლის წერილი, რომლითაც წარმოდგენილია სოფელ ლევიტანაში არსებულ მე-5 ქუჩის მე-2 ჩიხს ზუსტ გეოგრაფიულ მდებარეობა, კოორდინატები და საკადასტრო ნახაზი. ირკვევა, რომ სოფელ ლევიტანაში „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისი N82 განკარგულებით ქუჩების დამისამართებისას გამორჩენილია მე-5 ქუჩის მე-2 ჩიხი და საჭიროა შესაბამისი ცვლილება.

იქედან გამომდინარე რომ, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-7 მუხლის 1-ლი პუნქტის შესაბამისად, გეოგრაფიული ობიექტის სახელდების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მუნიციპალიტეტის საკრებულო, მიზანშეწონილია საკითხი გატანილ იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების და საქართველოს კანონის „საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის“ 63-ე მუხლის შესაბამისად:

1. „გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში არსებული ქუჩების სახელდების შესახებ“ გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 15 მაისი N82 განკარგულების 37-ე პუნქტით დამტკიცებული N37 დანართი შეიცვალოს ახალი №37 დანართით (დანართი თან ერთვის 2 ფურცლად).
2. განკარგულება ძალაში შევიდეს ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულების გასაჩივრება შესაძლებელია დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში, სარჩელის წარდგენის გზით გორის რაიონულ სასამართლოში (მისამართი: ქალაქი გორი; სერგო ჯორბენაძის ქ.№30).

საკრებულოს თავმჯდომარე **დავით რაზმაძე**

სოფელი ლევიტანა

დანართი 37



ადმინისტრაციული ერთეული	დასახლების სტატუსი	დასახლების დასახელება	გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (სახელობით ბრუნვაში)	გეოგრაფიული ობიექტის სახელწოდება (ნათესაობით ბრუნვაში)	შენიშვნა
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ქუჩა:1-ლი	1-ლი ქუჩა	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ჩიხი:1-ლი ქუჩის I	1-ლი ქუჩის I ჩიხი	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ქუჩა:მე-2	მე-2 ქუჩა	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ქუჩა:მე-3	მე-3 ქუჩა	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ჩიხი:მე-3 ქუჩის I	მე-3 ქუჩის I ჩიხი	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ქუჩა:მე-4	მე-4 ქუჩა	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ქუჩა:მე-5	მე-5 ქუჩა	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ჩიხი:მე-5 ქუჩის I	მე-5 ქუჩის I ჩიხი	
ბოშური	სოფელი	ლევიტანა	ჩიხი:მე-5 ქუჩის II	მე-5 ქუჩის II ჩიხი	